## კონფიდენციალურობის პოლიტიკა

ეს ვებ-საიტი წარმოადგენს კომპანია Mondelēz International, Inc. საკუთრებას და კონტროლირდება მის მიერ. ჩვენ გვესმის, რომ ჩვენი საიტის ბევრი სტუმარი უფრთხის პირადი ინფორმაციის მიწოდებას და ინტერესდება თუ როგორ ვიყენებთ მას ჩვენ. იმისათვის, რომ გადავლახოთ ასეთი შეშფოთება, ჩვენ შევიმუშავეთ კონფიდენციალურობის პოლიტიკა და შეგვიძლია მისი განახლებაც. ამისათვის, თუ შეიძლება დროდადრო გადახედეთ ჩვენს კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

## რა ინფორმაციას ვაგროვებთ ჩვენ

ჩვენ ჩვენს საიტზე ვაგროვებთ როგორც პირად ინფორმაციას, ისე ზოგად მონაცემებს. პირადი ინფორმაცია ეხება საკუთრივ მომხმარებელს - მაგალითად, სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საკრედიტო ბარათის ნომერი და სხვა. ასეთ მონაცემებს ჩვენ ვიღებთ მხოლოდ იმ პირებისგან, რომლებიც ჩვენ მას გვაწოდებენ შეგნებულად და ნებაყოფლობით. მაგალითად, მაშინ როცა რეგისტრირდებით ჩვენს საიტზე ან მიუთითებთ სახელსა და მისამართის ჩვენგან დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნით. ჩვენ არ მოვითხოვთ რეგისტრაციას ან ასეთი ინფორმაციის მოწოდებას ჩვენი საიტის დათვალიერებისა და მის შინაარსზე წვდომის მისაღებად. ზოგადი ინფორმაცია ეხება ისეთ ასპექტებს, როგორიცაა საიტის ვიზიტორთა რაოდენობა, ასევე ის თუ რომელ გვერდებზე სტუმრობენ ისინი, რა ინფორმაციას ტვირთავენ, ბრაუზერის ტიპი და ის ოპერაციული სისტემა, რომელსაც ისინი იყენებენ, ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის დასახელება (მაგალითად, America Online) და სხვა. როცა თქვენ სტუმრობთ ჩვენს საიტს, ჩვენ ავტომატურად ვიღებთ ამ ინფორმაციას და ვახდენთ მის განზოგადებას საიტის სხვა ვიზიტორებთა მსგავს მონაცემებთან. ასეთი ინფორმაციის შეგროვებით, ჩვენ ვაანალიზებთ, თუ როგორ მოვარგოთ უკეთ ჩვენი საიტი ვიზიტორთა მოთხოვნებს.

## როგორ გროვდება ინფორმაცია

პირადი ინფორმაცია, როგორც ჩვენ ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, შემოდის უშუალოდ თქვენთან და თქვენი დასტურით. მაშინ როცა თქვენ დარეგისტრირდებით საიტზე, ჩვენ ვიღებთ თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. როცა თქვენ დარეგისტრირდებით პრომო აქციაზე, ჩვენ ვაგროვებთ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია თქვენი მონაწილეობისთვის, იმიტომ რომ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობები თქვენს მიმართ. როცა თქვენ გვიგზავნით ელექტრონულ წერილს, ჩვენ ვინახავთ თქვენ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტას, რომ საშუალება გვქონდეს გიპასუხოთ. ასევე, ჩვენ მუდმივად ვაგროვებთ ზოგად ინფორმაციას, როცა თქვენ შემოდიხართ ჩვენს საიტზე. ასეთი მონაცემების შეგროვების პროცესი წარმოებს Cookies ან Web Beacons მეშვეობით, (ასევე წოდებული როგორც single-pixel gifs), როგორც ქვემოთ იქნება ახსნილი.

## Cookies

ისევე როგორც სხვა კომპანიები, ჩვენ ჩვენს საიტზე და მის საზღვრებს გარეთაც ვიყენებთ ამ Cookies ტექნოლოგიას. Cookies - ეს არის ინფორმაციის ნაწყვეტები, რომელსაც ვებ-საიტი გადასცემს მომხმარებლის მყარ დისკს ინფორმაციის შესანახად. ეს ტექნოლოგია აფართოებს ინტერნეტის გამოყენების შესაძლებლობას, ინახავს რა თქვენს პრიორიტეტებს განსაზღვრული საიტის დათვალიერებისას. Cookie ტექნოლოგია არ შეიცავს პირად ინფორმაციას და მას არ

შეუძლია, არანაირი საშუალებით, გადააწყოს თქვენი სისტემა ან წაიკითხოს ინფორმაცია თქვენი მყარი დისკიდან.
ჩვენი ვებ-საიტის დათვალიერებისას ჩვენ შეგვიძლია განვათავსოთ Cookies. ასეთი დროებითი Cookies გამოიყენება ჩვენს საიტზე თქვენი ვიზიტების რაოდენობის გამოსათვლელად. როცა გამოდიხართ ბრაუზერიდან ისინი იშლებიან. მუდმივი Cookies შეიძლება ინახებოდეს თქვენს კომპიუტერში თქვენი ბრაუზერის მიერ. რეგისტრაციის დროს ამ ტიპის Cookies იძლევა ინფორმაციას: პირველად მობრძანდით თქვენ ჩვენთან თუ ჩვენს საიტზე ადრეც ხართ ნამყოფი. Cookies არ იღებს თქვენს შესახებ პირად ინფორმაციას და არ გადმოგვცემს ჩვენ თქვენს საკონტაქტო ინფორმაციას, ასევე არ იღებს არავითარ ინფორმაციას თქვენი კომპიუტერიდან. ჩვენ ვიყენებთ Cookies, იმისათვის, რომ განვსაზღვროთ იმ საიტისა და იმ რეცეპტების ხასიათი, რომლიც თქვენ ყველაზე მეტად გიყვარეთ, იმ მიზნით, რომ უფრო მეტი ინფორმაცია მოგაწოდოთ იმის შესახებ რაც თქვენ ყველაზე გაინტერესებთ.
ბრაუზერებთა უმეტესობის პანელზე ეტიკეტი „Help" ინფორმაციას გაძლევთ იმის შესახებ, თუ როგორ აუკრძალოთ ბრაუზერს ახალი Cookies მიღება, როგორ მიიღოთ ინფორმაცია ბრაუზერისგან, იმის შესახებ, რომ თქვენ მიიღეთ ახალი Cookies, ან როგორ გამოვრთოთ Cookies. გახსოვდეთ, რომ Cookies თქვენ საშუალებას გაძლევთ სრულად ისარგებლოთ Mondelēz InternationalFoods საიტის ყველა შესაძლებლობით და ჩვენ რეკომენდაციას გაძლევთ, რომ დატოვოთ ისინი ჩართული.

## Web Beacons

Web Beacons - ეს ინტერნეტ ინსტრუმენტია, რომელიც თქვენ გვეხმარებათ განსაზღვროთ, მაგალითად, ნახეთ თუ არა გვერდი. როცა თქვენ გვეკითხებით ჩვენ პრომო-აქციის ან ბიულეტენ სიახლეების შესახებ, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ Web Beacons იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თქვენს მიერ გამოგზავნილი რამდენი ელექტრონული წერილი იყო განხილული. ზოგადად, ნებისმიერი ელექტრონული გამოსახულება წარმოადგენს ვებ გვერდის ნაწილს, ბანერების, და შეიძლება Web Beacons ჩათვლითაც.
მესამე პირთა სარეკლამო ქსელებმა, რომლებიც ემსახურებიან Mondelēz InternationalFoods-ის საიტებზე სარეკლამო განცხადებებს, მათ რეკლამებში შეიძლება გამოიყენონ Cookies და/ან Web Beacons-ის ტექნოლოგიები.Mondelēz InternationalFoods არ შეუძლია გააკონტროლოს ასეთი მესამე პირების Cookies და/ან Web Beacons და არ აქვთ წვდომა არცერთ ინფორმაციაზე, რომელიც მათ შეიძლება მოაგროვონ მესამე პირებისათვის. უფრო მეტი რომ გავიგოთ მესამე პირთა სარეკლამო ქსელებისა და მათი კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, ეწვიოთ http://www.networkadvertising.org/. ასევე, Mondelēz International-ს შეუძლია გამოიყენოს Cookies და/ან Web Beacons მაშინ, როცა განათავსებს რეკლამას სხვა კომპანიების საიტებზე. ნებისმიერი მონაცემი, რომელსაც ჩენ მოვაგროვებთ, ექვემდებარება ამ პოლიტიკის რეგულაციებს.

## კონკურსები და ლატარიები

ხანდახან, ჩვენი საიტი ანთავსებს ინფორმაციას ჩვენი პრომო-აქციების შესახებ და ხანდახან, ჩვენ შესაძლებლობას გაძლევთ დარეგისტრირდეთ ელექტრონულად. ასეთ შემთხვევებში, ჩვენ ვიყენებთ თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას იმისათვის, რომ ჩავატაროთ აქცია (მაგალითად, შეგატყობინოთ მოგების შესახებ). პრომო-აქციის დასრულებიდან ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი

მონაცემთა ბაზიდან ინფორმაცია იშლება თუ თქვენ არ მოგვეცით თანხმობა მის შენახვისა და გამოყენებისათვის, რათა მომავალშიც მიიღოთ ინფორმაცია ჩვენს შესახებ.

## ანკეტის შევსება და კითხვარი

ხანდახან, ჩვენ შეგვიძლია ვთხოვოთ ვიზიტორებს შეავსონ ანკეტა და კითხვარი თქვენი დამოკიდებულებებისა და ინტერესების შესასწავლად. კითხვარები გვეხმარება გავიგოთ თქვენი მოთხოვნილებები. თუ პასუხების ნიმუში განთავსებულია ჩვენს საიტზე, ისინი არ შეიცავენ პირად ინფორმაციას. თუ თქვენ მონაწილეობთ რომელიმე ჩვენს გამოკითხვაში, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ჩვენ არ დავტოვებთ ჩვენს მონაცემთა ბაზაში ასეთი გამოკითხვების შედეგად მიღებულ არც ერთ პირად ინფორმაციას.

## როგორ ვიყენებთ თქვენს პირად ინფორმაციას

თუ თქვენ რეგისტრაციისას მოგვეცით თანხმობა ჩვენგან დამატებითი ინფორმაციის მიღების შესახებ ან გამოთქვით სურვილი, მოხვდეთ ჩვენივ ადრესატების ჩამონათვალში, ჩვენ შეგვიძლია თქვენ დროდადრო გამოგიგზავნოთ შეტყობინებები - მაგალითად მარკეტინგული ან პრომო-მასალები; უპასუხოთ თქვენს კომენტარებს ან ინფორმაციის შესახებ მოთხოვნებს; აუცილებლობის შემთხვევაში, დაგიკავშირდეთ პროდუქტის ან მომსახურეობის შესახებ კითხვარის დამუშავების დროს, რომელიც თქვენ შეასრულეთ ჩვენი საიტის საშუალებით.
ჩვენი საიტის ელ.ფოსტის განყოფილებაში ჩვენ გთხოვთ წარმოადგინოთ პირადი ინფორმაცია, როგორიცაა თქვენი სახელი და ტელეფონის ნომერი. ჩვენ მას ვიყენებთ მხოლოდ აუცილებელობის შემთვევაში რათა მოგმართოთ პირადად, მაშინ როცა მცდელობა დაგიკავშირდეთ ელ. ფოსტით იქნება წარუმატებელი. თუ თქვენ არ იქნებით თანახმა რაიმე სხვაზე, ჩვენ არ გამოვიყენებთ თქვენს ელ.ფოსტას არც ერთი სხვა მიზნით, გარდა გაგზავნილ შეტყობინებაზე პასუხის გაცემისა.
ჩვენ, ასევე ვიყენებთ თქვენს პირად ინფორმაციას ჩვენი მარკეტინგული და პრომო-კამპანიის გაუმჯობესებისათვის, ვებ-საიტის სტატისტიკური ანალიზის გამოყენებისათვის, ასევე ჩვენი მახასიათებლებისა და კონტენტის გაუმჯობესებისთვის. თქვენი პერსონალური ინფორმაცია შეიძლება იყოს გამოყენებული, თქვენი ინტერესების თანახმად, თქვენი კონტენტის ასაწყობად, იმდენად, რამდენადაც ის შეიძლება ჩვენთვის იყოს ცნობილი საიტზე თქვენი აქტივობისას მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად. ასეთი ადაპტირებულ კონტენტს შეიძლება შეიცავდეს რეცეპტები, ბანერები, პროდუქტებისა და პრომო-აქციების შესახებ მონაცემები. ჩვენ არ ვაგროვებთ პირად ინფორმაციას ავტომატურად, მაგრამ შეგვიძლია განვაზოგადოდ არაპერსონალური ინფორმაცია, რომელიც შეგროვებულია ავტომატურად (Cookies ) ადრე მიღებული პირადი ინფორმაციასაგან.
Mondelēz International აგროვებს პირად ინფორმაციას, უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რომ უზრუნველყოს თქვენს მიერ საიტით და ინტერაქტიული სარეკლამო ბანერებით ჩვეულებრივი, შედეგზე ორიენტირებული და კომფორტული გამოყენება.

## მესამე მხარე, Mondelēz International-ის მომსახურეობის მომწოდებელლი

მუშაობის პროცესში ჩვენ მივმართავთ სხვა კომპანიებსა და პირებს, რომლებიც ჩვენი სახელით ასრულებენ ბევრ ფუნქციას. მაგალითად, ჩვენ ვუკვეთავთ ადმინისტრაციულ პრომო-კამპანიებს, მონაცემთა ანალიზს, შეკვეთების შესრულებას და მომხმარებელთათვის მხარდაჭერის აღმოჩენას. ამ სააგენტოებს შეუძლიათ იქონიონ წვდომა პირად ინფორმაციაზე, თუ ეს აუცილებელია

Mondelēz InternationalFoods-ისთვის მათი ფუნქციების შესასრულებლად, ოღონდ მათთვის აკრძალულია სხვა პირთა მიზნებისათვის ამ ინფორმაციის გამოყენება და ჩვენ მოვითხოვთ მათგან კონფიდენციალურობის დაცვას.

## მონაცემთა გამჟღავნება და გადაცემა

ჩვენ არ ვყიდით, არ გადავცემთ ან ვაჟღერებთ პირად ინფორმაციას, რომელსაც ვიღებთ ჩვენი საიტიდან, მესამე პირებიდან თქვენი წინასწარი თანხმობის გარეშე. ამ წესს აქვს მხოლოდ ორი გამონაკლისი:

1. ჩვენ გავამჟღავნებთ ინფორმაციას დანაშაულის ან ჩვენთვის ან მესამე პირებისათვის ზიანის მიყენების პრევენციის შემთხვევაში.
2. ჩვენ გავუმჟღავნებთ ინფორმაციას იმ მესამე პირებს, რომლებიც გიცხადებენ თქვენ მხარდაჭერას და გიწევენ მომსახურებას, როგორც ზემოთ არის მითითებული.

შეიძლება ისე მოხდეს, რომ ჩვენ სარეკლამო აგენტებს, ბიზნეს პარტნიორებს, სპონსორებს და სხვა მესამე პირებს ჩვენი ვიზიტორების შესახებ მივაწოდოთ ზოგადი ინფორმაცია (მაგალითად, საიტის ვიზიტორ მამაკაცთა და ქალთა პროცენტი) იმისათვის, რომ ჩვენი მომხმარებლებისათვის ავაწყოთ ან გავაფართოვოთ ჩვენი საიტის კონტენტი ან რეკლამა ჩვენს საიტზე. ჩვენ ასევე შეგვიძლია შევაგროვოთ მონაცემები ვებ-რეგისტრაციის ფაილებიდან (როგორიცაა თქვენი ბრაუზერი, ოპერაციული სისტემა, გვერდების მონახულება და ა.შ.) იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ მოძრაობენ ვიზიტორები საიტზე და საიტის რომელი მხარეა ყველაზე პოპულარული.

## ბმულები სხვა საიტებზე

Mondelēz International აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ ჩვენი საიტის ყველა ბმული იყოს თქვენთვის სასარგებლო. თუმცა, ვებ-საიტები და მისამართები ხშირად იცვლება და Mondelēz International არ შეუძლია უზრუნველყოს თითოეული საიტის ხარისხი, რომლებზეც განთავსებულია ჩვენ ბმულები. ასევე, სხვადასხვა ვებ-საიტს აქვთ სხვადასხვა კონფიდენციალურობის პოლიტიკა. თქვენ ყოველთვის უნდა გადახედოთ თითოეული იმ საიტის კონფიდენციალურობის პოლიტიკას, რომელსაც ეწვიეთ რათა შეიტყოთ თქვენი უფლებების შესახებ.

## არჩევანი და კონტროლი

თქვენ მთლიანად აკონტროლებთ იმ პირად ინფორმაციას რომელსაც განათავსებთ ჩვენს საიტზე. მაგალითად, თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი გადაწყვეტილება მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია ჩვენგან, უბრალოდ Online Team-ის გუნდისთვის ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილის გაგზავნით, ან საიტზე თქვენი პროფილის განყოფილებაში ინფორმაციის შეცვლით. ან, თუ გნებავთ, თქვენ შეგიძლიათ რეგისტრაცია საერთოდ გააუქმოთ და ჩვენ ჩვენი მონაცემთა ბაზიდან თქვენს პირად ინფორმაციას სწრაფად წავშლით. თუ გსურთ ამის გაკეთება, გაუგზავნეთ ელ.წერილი Online Team-ს ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

## მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბავშვებისთვის

მანამდე, სანამ ინტერნეტით მიაწოდებთ თქვენს სახელს, მისამართს, ელექტრონულ ფოსტას, ან ნებისმიერ სხვა პირად ინფორმაციას ვინმეს, წინასწარ სთხოვეთ თანხმობა მშობლებს.

## ბავშვთა კონფიდენციალურობის პოლიტიკა

ჩვენ შეგვიძლია ნება დავრთოთ ბავშვს გამოგვიგზავნოს ელ.წერილი. ჩვენ ვუპასუხებთ ასეთ წერილს, მაგრამ ჩვენ არ შევინახავთ სახელს, ელ.ფოსტის მისამართს ან თავად ელ.წერილს ჩვენს მონაცემთა ბაზაში. ჩვენ არ ვინახავთ ასეთ ინფორმაციას და არ გადავსცემთ მას მესამე პირებს (მათ, ვინც გვაწვდის მხარდაჭერის სერვისებს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული).

ადგილობრივი კანონმდებლობით მოთხოვნების თანახმად, 13 წლამდე ბავშვებისთვის განკუთვნილ ვებ-საიტებს ეკრძალებათ წახალისონ ბავშთა მონაწილეობა პირადი ინფორმაციის იმაზე დიდი მოცულობით წარდგენის პირობით, ვიდრე ეს აუცილებლობითაა დასაბუთებული, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში. ჩვენ ვიცავთ ამ მოთხოვნას.

ჯეროვანი იდენტიფიკაციის შემდეგ, ყოველ მშობელს შეუძლია დაათვალიეროს ნებისმიერი პირადი ინფორმაცია, რომელიც ჩვენ მივიღეთ მისი შვილისგან, თუ ეს იქნება შენახული ჩვენს მონაცემთა ბაზაში. მათ ასევე შეუძლიათ მოითხოვონ ასეთი ინფორმაციის წაშლა ჩვენი მონაცემთა ბაზიდან და აკრძალონ მათი შვილისგან სამომავლოდ ინფორმაციის მიღება ან გამოყენება. თუ თქვენ ხართ მშობელი და გსურთ ისარგებლოთ ამ უფლებით, გთხოვთ დაუკავშირდეთ გუნდს Online Team, როგორც ქვემოთ არის მითითებული.

## ამ გაფრთხილების განახლებები

ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ან განვაახლოთ ამ პოლიტიკის ნაწილი ნებისმიერ დროს წინასწარი შეტყობინების გარეშე. გთხოვთ, დროდადრო გადახედეთ გაფრთხილებებს, იმისათვის, რომ გაიგოთ ცვლილებებისა და სიახლეების შესახებ. გაფრთხილების პირველ გვერდზე ჩვენ მივუთითებთ გაფრთხილების ძალაში შესვლის თარიღს.